



სსიპ ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

05 10 2016 წ.

ბრძანება N 2-254

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 47-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების დანართი N1-თ დამტკიცებული „საჯარო სკოლის წესდების“ მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“, „დ“, „ე“ „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესი დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო  
სკოლის დირექტორი:



/ელზა ბადაშვილი/

## მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ირჩევენ საკუთარ თვითმმართველობებს თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, კლასების მიხედვით თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით;
2. თვითმმართველობის არჩევნები ტარდება 2016 წლის 13 ოქტომბერს და თვითმმართველობის არჩეული შემადგენლობის უფლებამოსილება განისაზღვრება მომდევნო სასწავლო წელს სამეურვეო საბჭოს მიერ მოსწავლეთა შესაბამისი თვითმმართველობის ახალი არჩევნების ჩატარებამდე.

### მუხლი 2. საარჩევნო სიები და კანდიდატა რეგისტრაცია

1. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლეს.
2. ამომრჩეველთა სიას ადგენს კლასის დამრიგებელი, რომელსაც აკონტროლებს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.
3. მოსწავლეები, რომელთაც სურთ არჩეულნი იყვნენ საბაზო ან საშუალო საფეხურის თვითმმართველობაში, რეგისტრაციას გადიან შესაბამისი კლასის დამრიგებელთან არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს 3 დღით ადრე, დამრიგებლის არარსებობის შემთხვევაში კი - სკოლის დირექტორთან.
4. არჩევნებში კანდიდატად რეგისტრაციის მსურველები მიმართავენ შესაბამისი კლასების მიხედვით დამრიგებლებს, ავსებენ სარეგისტრაციო განაცხადს და ენიჭებათ შესაბამისი საარჩევნო ნომერი (იხ. დანართი N1.1)

### მუხლი 3. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია

1. საარჩევნო კომისია ვალდებულია კანდიდატის რეგისტრაციის დასრულებისთანავე სკოლის დირექციის დახმარებით უზრუნველყოს კანდიდატის ავტობიოგრაფიისა და საარჩევნო პროგრამის საჯაროობა სკოლის საჯარო სტენდზე გაკვრით, აგრეთვე სკოლის ხელთ არსებული სხვა საშუალებებით (სკოლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება და სხვ.).
2. კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც იწყება კანდიდატის დამრიგებლის მიერ რეგისტრაციაში გატარების მომენტიდან. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.
3. საარჩევნო კანდიდატებს, ასევე მათ მხარდამჭერ პირებს უფლება აქვთ აწარმოონ წინასაარჩევნო აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ.
4. არჩევნების დღეს იკრძალება კამპანიისა და აგიტაციის წარმოება.
5. წინასაარჩევნო კამპანიასა და აგიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ:
  - ა) საარჩევნო კომისიის წევრებს;
  - ბ) სკოლის დირექციას;
6. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, ფურცლებისა და ფოტომასალის დამზადებისა და გავრცელების გზით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა.
7. წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი სასწავლო პროცესს. იკრძალება გაკვეთილებზე საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელიც ხელყოფს წესრიგს სკოლაში ან ზიანს აყენებს მის ქონებას.